



**საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA**

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

11 აგვისტო 2025 წ.



KA000022283680625

№ 25/6294

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეცვის გამო
შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების თაობაზე

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

მოგესხენებათ, რომ საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.[1] მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აკვირდება შეკრების თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

2025 წლის 29 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თახახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით იგი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა) მე-4 ნაწილით (2025 წლის 24 იანვრის დროს მოქმედი რედაქციით) და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, აპარატისთვის ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში, საერთო სასამართლოები დასახელებული მუხლის საფუძველზე დიდი რაოდენობის საქმეებს იხილავენ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის № 11634832 ნერილით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების კომპიუტერული ბაზის მონაცემებით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 13 ივნისამდე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის შესაბამისად, განხილულია 1394-მდე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ამგვარი საქმეების განხილვისას, სასამართლოს მსჯელობა უნევს შეკრების თავისუფლების არაერთ ასპექტთან დაკავშირებით, რომელთა შორისაა უფლებით დაცული სფერო და მისი შეზღუდვის ფარგლები, ასევე სამართალდამცავთა როლი შეკრების მართვის კონტექსტში. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი საქმე, შესაძლოა, მომავალშიც გახდეს სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება ამაჟამად მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება, სათანადო უფლებრივი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საქმის განხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრების მიზანს წარმოადგენს შეკრების თავისუფლების დაცვის რელევანტური გარანტიების განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რაც სასამართლოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტივს გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების საქმეების სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება. აღნიშნული სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიემართება როგორც სანქციების, აგრეთვე ყველა იმ საქმეს, რომლის ფარგლებშიც, სასამართლოს მოუწევს მსგავს ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობა.

სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრება არ ემსახურება სასამართლო პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს რელევანტური ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტების იდენტიფიცირებას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

წინამდებარე ქვეთავში განხილულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნობის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც სახალხო დამცველის აპარატის ინფორმირება მისი განცხადებით მოხდა. რადგან წინამდებარე მომართვას აქვს ზოგადი ხასიათი და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი, კონკრეტული შემთხვევით, მსგავსი მონაცემების მითითება ასევე იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ერთგვაროვან საქმეთა წრე, რომლებთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველი ახდენს სააპელაციო სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას:

2025 წლის 28 თებერვალს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს უფროსმა დეტექტივმა მიმართ შეადგინა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. ოქმში მიეთითა, რომ „2025 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოქ.

კეტავდა სატრანსპორტო გზას, მიუხედავად იმისა, რომ შეკრება-ძახიფესტაციის ფარგლებში, ხალხის მცირე რაოდენობის გამო, არ არსებობდა გზის გადაკეტივის აუცილებლობა და პროტესტის გამოხატვა შესაძლებელი იყო საფეხმავლო ბილიკზე“;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი სამართალდამცავი, ვიდეო მტკიცებულების დათვალიერების თაობაზე, ოქმში მიუთითებს, რომ „დათვალიერებული იქნა 2025 წლის 24 იანვრის, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირი, პარლამენტის მიმდებარე განთავსებული სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები (TF0815, TF1108, TF1109), რომლის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოქალაქეები კვეთენ ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისთვის განკუთვნილ გზას, ისე რომ საფეხმავლო ბილიკზე არის თავისუფალი სივრცე, რომლის გამოყენების შედეგად არ იარსებებდა გზის გადაკეტივის აუცილებლობა. . . . აღნიშნულ მოქალაქეთა შორის იმყოფებოდა სავარაუდო სამართალდამრღვევი მოქ.

საქციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით პირის იდენტიფიცირების თაობაზე იმავე პირის მიერ შედგენილი ოქმის შესაბამისად, განმცხადებლის ამოცნობა მოხდა ზემოხსენებული ვიდეო ჩანაწერების საქციალურ პროგრამაში ატვირთვისა და დამუშავების შედეგად. აღნიშნულის დასადასტურებლად, საქმის მასალებში წარმოდგენილია შესაბამისი ვიდეო კადრები და ერთ-ერთი მათგანიდან ამოღებული ფოტოსურათი, რომელიც ასახავს გამოსახულებას შეკრების მიმდინარეობისას, 20:52 საათზე;

სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერი TF0815 ასახავს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას 35 წუთის განმავლობაში, 20:25 საათიდან 21:00 საათამდე პერიოდში, როდესაც ადგილზე მოემართება და საკანონმდებლო ორგანოს წინ არსებულ ტრანსპორტის სავალი ნაწილს იკავებს საპროტესტო მარში. ჩანაწერში აღბეჭდილია პარლამენტის წინ არსებული ფართო ტროტუარისა და სატრანსპორტო გზის ნაწილი, ზ. ჭიჭინაძის ქუჩისა და თბილისის კლასიკური გიმნაზიის მიმართულებით (მათ შორის, თბილისის კლასიკური გიმნაზიის წინ არსებული ტერიტორია), საკანონმდებლო ორგანოს შენობის მოპირდაპირე მხარეს დამონტაჟებული კამერიდან;

ჩანაწერი TF1108 ასახავს იმავე ტერიტორიასა და პერიოდს საკანონმდებლო ორგანოს წინ არსებულ ტროტუარზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერიდან. სწორედ დასახელებულ ჩანაწერში ფიქსირდება შეკრების მონაწილეთა შორის განმცხადებლის დგომის ფაქტი 20:52 საათზე, რომლის ამსახველი ფოტოსურათიც ერთვს საქმეს;

რაც შეეხება მესამე ჩანაწერს TF1109, იგი ასახავს პარლამენტის წინ არსებულ ტროტუარსა და სატრანსპორტო გზას, შენობის ერთ-ერთ კუთხიდან (ზ. ჭიჭინაძის ქუჩის მხარე) თავისუფლების მოედნის მიმართულებით. მასზე აღბეჭდილია იგივე პერიოდი, რაც ზემოხსენებულ ორ ჩანაწერში, თუმცა მოცემულ კადრში არ ჩანს ზ. ჭიჭინაძის ქუჩისა და თბილისის კლასიკური გიმნაზიის წინ არსებული მონაკვეთი;

20:25-21:00 საათის პერიოდში, გემოაღნიშნული სამი ვიდეოჩანაწერი საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაკურსით, ერთიანობაში შემდეგ ვითარებას ასახავს:

- 20:25 საათზე, რუსთაველის გამზირზე, საავტომობილო გზაზე გადაადგილდება ტრანსპორტი;
- ამ დროს, საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ არსებულ ტროტუარზე დგას პოლიციის ორი მანქანა და ორი პოლიციელი. მოპირდაპირედ, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის წინ ფიქსირდება პოლიციის კიდევ ერთი მანქანა (მანქანაზე დატანილი არ არის შესაბამისი ნარწერა, თუმცა 20:27 საათზე, იგი პოლიციისთვის დამახასიათებელი ციმციმა შუქით ტოვებს ადგილს). ჭიჭინაძის ქუჩაზე (პარლამენტისა და თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობებს შორის) განთავსებულია პოლიციის მიკროავტობუსი და მინივანი. 9 აპრილის ქუჩაზე (პარლამენტისა და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს შორის) კი, პოლიციის ორი მინივანი და მანქანები ჩანს;
- მოცემული დროისთვის, მანიფესტანტების მარში მოემართება რუსთაველის გამზირის მხრიდან პარლამენტის შენობის მიმართულებით. მათ გზის ერთი ზოლი აქვთ დაკავებული და წინ საპატრულო პოლიციის მანქანა მოუძღვებათ. 20:27 საათზე, პოლიციის ხსენებული მანქანა ჩერდება პარლამენტის შენობის წინ, სატრანსპორტო გზის ნაწილზე;
- სწორედ ამ დროს, პარლამენტის შენობის წინ არსებულ ტროტუარზე შეკრებილი პირები იწყებენ გადასვლას ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, ხოლო რუსთაველის გამზირიდან მარშით მომავალი მანიფესტანტები უახლოვდებიან პარლამენტის შენობას;
- 20:28 საათზე, პარლამენტის წინ არსებულ ტროტუარზე განთავსებული საპატრულო პოლიციის ორი მანქანა იწყებს მოძრაობას, ხოლო შეკრების მონაწილეები იკავებენ საკანონმდებლო ორგანოს შენობის მიმდებარე სატრანსპორტო გზას. სამართალდამცავები მათ აღნიშნული ქმედების განხორციელებაში ხელს არ უშლიან. ამის სანიაღვრედ, კადრში ჩანს ორი პოლიციელი, რომელიც გზაზე მიმავალ მანქანებს ანიშნებს, დაბრუნდნენ უკან, თავისუფლების მოედნის მიმართულებით;
- 20:29 საათზე, პოლიციის ორი მანქანა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, რუსთაველის გამზირისა და 9 აპრილის ქუჩის კვეთასთან (მოგვიანებით ისინი ტოვებენ ადგილს და გადიან კადრიდან) დგას, ხოლო რამდენიმე პოლიციელი - სატრანსპორტო გზაზე. ანალოგიურად, რუსთაველის გამზირის მხრიდანაც, 20:29 საათზე, კადრში ჩანს პოლიციის მანქანა, რომელიც განთავსებულია სატრანსპორტო გზაზე „თბილისი მერიტის“ მიმდებარედ და საავტომობილო მოძრაობა გაჩერებულია;
- მიუხედავად იმისა, რომ დაუდგენელია შეკრების მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა და მათ მიერ დაკავებული კონკრეტული პერიმეტრი, კადრებით იკვეთება, რომ ისინი განლაგებული არიან პარლამენტის წინ არსებული სატრანსპორტო გზის დაახლოებით შუა ნაწილიდან თბილისის კლასიკური გიმნაზიის წინ არსებული ავტობუსის გაჩერების ადგილის მიმდებარე ტერიტორიამდე;

საგულისხმოა ისიც, რომ როგორც მედიით გავრცელებული კადრები ადასტურებს, 2025 წლის 24 იანვარს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე შეკრებას, 21:25 საათისთვის, შეუერთდა[2] წინასწარ დაანონსებული[3] გაერთიანებული საპროტესტო მარში, რის შედეგადაც, გაიზარდა ადგილზე მყოფ მანიფესტანტთა რაოდენობა;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ქმედების ჩადენის დროს მოქმედი რედაქციით) და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, „რომ 2025 წლის 24 იანვარს, ქ. თბილისი, პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მონაწილეებთან ერთად მოახდინა სატრანსპორტო გზის გადაკეტვა იმ პირობებში, როდესაც აქციის მონაწილეთა რაოდენობა არ იძლეოდა გზის ბუნებრივად გადაკეტვის აუცილებლობას“. ამასთან, დადგენილების თანახმად, „წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერით, რომელიც ასახავს 2025 წლის 24 იანვარს პარლამენტის წინ არსებულ ტერიტორიაზე საპროტესტო აქციაში მონაწილე პირთა რაოდენობას, დაფიქსირებულია აქციის მონაწილეთა გზაზე გადასვლის ფაქტი, ხოლო 20:52 საათზე გზის სავალ ნაწილზე დაფიქსირებულია რომელიც აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად ახდენს გზის ხელოვნურად გადაკეტვას“.

დადგენილებაში სასამართლო ასევე განმარტავს: „გზის გადაკეტვის მონაწილეებთან მოგვიანებით შეერთების შემთხვევაშიც კი დარღვევა სახეზეა, ვინაიდან... მოქმედებით (პროტესტის ნიშნად გზის სავალ ნაწილზე დგომა) აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად საავტომობილო გზა შენარჩუნდა გადაკეტილ მდგომარეობაში. (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.2024წ. № 4/ა-758-24 დადგენილება). სასამართლო აღნიშნავს, რომ გზის ხელოვნურ გადაკეტვაში მონაწილედ მიიჩნევა პირი, რომელსაც თუნდაც გზის გადაკეტვის დაწყების პროცესში არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა მოგვიანებით შეუერთდა იმ რაოდენობის აქციის მონაწილეებს, რომლებსაც ობიექტურად ჰქონდათ შესაძლებლობა შეკრება-მანიფესტაციის უფლების რეალიზება მოეხდინათ სხვათა უფლებების დარღვევის გარეშე, იქვე არსებულ საფეხმავლო სივრცეში“.

2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზნებისათვის რელევანტური უფლებრივი სტანდარტები

2.1. შეკრების თავისუფლებით დაცული სფერო

შეკრების თავისუფლება, როგორც ამრის გავრცელების საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.[5] მშვიდობიანი შეკრების უფლება ფუნდამენტური შესაძლებლობაა, ინდივიდებმა, მიუხედავად მათი სტატუსისა, გამოხატონ გრძნობები, შეხედულებები[6] და პროტესტი სხვადასხვა საკითხის მიმართ, გააკრიტიკონ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები, წარადგინონ ალტერნატიული ან/და არაპოპულარული მოსაზრებები და მოახდინონ უმცირესობების თუ მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესების ადვოკატირება.[7] ამდენად, შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების საჯაროდ განხილვას,[8] ცნობიერების ამაღლების, ცვლილებებისა და რეფორმების პროცესს და წარმოადგენს ხელისუფლებამზე მემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას.[9]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება და რეგლამენტირებულია წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების შესაძლებლობა.[10] შეკრების თავისუფლება, როგორც გამოხატვის სპეციალური ფორმა, ინსტრუმენტული უფლებაა, რომელსაც ორი თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია: ფორმალური მხარე - რომელიც შეკრებაში გამომიხატება და შინაარსობრივი მხარე - კონკრეტული ამრი, რომელსაც შეკრება ემსახურება.[11] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[12] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[13]

გემოსხენებული მოწესრიგების გათვალისწინებით, შეკრების თავისუფლება თავის თავში მოიაზრებს უფლების სუბიექტის მიერ შეკრების ფორმის, დროის და ადგილის არჩევის შესაძლებლობას.[14] ადგილმდებარეობის არჩევის თავისუფლება აღნიშნული უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რასაც განსაკუთრებული დავიროვნება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადგილი/დანესებულება პროტესტის ობიექტია ან კონკრეტულ ლოკაციაზე შეხედულებების გამოხატვა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ამრისა თუ პროტესტის ადრესატამდე მისაღწევად.[15] შეკრების ადგილმდებარეობა, შესაძლოა, მათ შორის, მოიცავდეს პარკებს, სკვერებს, ქუჩებს, გამზირებს, ტროტუარებს, საჯარო დანესებულებების მიმდებარე ღია ტერიტორიებს და სხვ.[16]

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ასევე ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის განმარტებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრების თავისუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, შეკრებები უნდა ჩაითვალოს საჯარო სივრცეების ისეთივე ლეგიტიმურ გამოყენებად, როგორც მათი გამოყენების სხვა, უფრო რუტინული გზები, როგორებიცაა, მაგალითად, ქვეითთა და ტრანსპორტის გადაადგილება.[17] ამდენად, შეკრება, მისი ძირითადი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ინვესტდეს ცხოვრების ჩვეული რიტმის გარკვეულ შეფერხებას, თუმცა, მსგავსი შეფერხება ხელისუფლებამ უნდა დაუშვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამით მომეტებულად ზიანდება შემხვედრი ინტერესი.[18] თავის მხრივ, ნებისმიერი შემლუდვა უნდა პასუხობდეს უფლებაში ჩარევის მართლზომიერებისთვის დადგენილ მოთხოვნებს (იხ. წინამდებარე დოკუმენტის 2.3. ქვეთავი).

საგულისხმოა ისიც, რომ შეკრების თავისუფლება მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის შეკრებას იცავს.[19] შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფარგლების განსაზღვრას, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, შეკრება სცდება უფლებით დაცულ სფეროს და არამშვიდობიანად მიიჩნევა. ტერმინი „მშვიდობიანი“ იმგვარად უნდა განიშარტოს, რომ მოიცავს ქმედებები, რომლებიც, შესაძლოა, დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა აქტივობებს, მაგალითად, გზის გადაკეტვით.[20]

როგორც წესი, ყოველთვის მოქმედებს შეკრების მშვიდობიანი ხასიათის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა აშკარა და ხილული მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები ძალადობის გარდაუვლად გამოყენებას, ძალადობისკენ მონოდებას ან მის გამოწვევას აპირებენ.[21] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ძალადობა“ გულისხმობს შეკრების მონაწილეთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომლის შედეგადაც მოსალოდნელია გარდაცვალება, ჯანმრთელობის[22] ან საკუთრების სერიოზული დაზიანება.[23] შესაბამისად, კომიტეტის მითითებით, ძალადობად არ უნდა ჩაითვალოს, მათ შორის, უბრალო მიწოლა, ხელის კვრა, სატრანსპორტო ან ქვეითთა მოძრაობის შეფერხება.[24] მნიშვნელოვანია ისიც, რომ რამდენადაც უფლების რეალიზებას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს, ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფის აგრესიის თუ ძალადობის აქტები არ უნდა აბათილებდეს იმ ადამიანთა შეკრების თავისუფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ.[25]

2.2. სახელმწიფოს ვალდებულებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დასაცავად

სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის მშვიდობიანი შეკრების გამართვას.[26] ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი არ შეუშალონ შეკრების ორგანიზებასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას (ნეგატიური ვალდებულება).[27] შესაბამისად, დაუძლეველი მიზეზის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია შეკრების შემლუდვა, აკრძალვა, ხელის შეშლა ან შეწყვეტა, აგრეთვე ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე, შეკრების მონაწილეთა თუ ორგანიზატორთა სანქცირება.[28]

გარდა ამისა, ხელისუფლებას ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც, უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების გამართვა იმგვარად, რომ სამიზნე აუდიტორიასთან შესაძლებელი იყოს შეტყობინების მიწოდება.[29] აღნიშნული მიუთითებს ხელისუფლების მოვალეობაზე, შექმნას ხელშემწყობი გარემო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობის მიზნით.[30] ამისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს, მათ შორის, გზების გადაკეტვა და სატრანსპორტო მარშრუტების შეცვლა.[31]

ყოველივე გემოლნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც სახეზეა თუნდაც უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრება, სახელმწიფომ მის მიმართ გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობა უნდა გამოიჩინოს.[32] აჩვენა თუ არა სახელმწიფომ „შემწყნარებლობის სათანადო ხარისხი“, შეუძლებელია, განისაზღვროს *in abstracto*: უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ცხოვრების ჩვეული რიტმის“ დარღვევის ფარგლები.[33]

მშვიდობიანი შეკრების გამართვის ხელშეწყობის კუთხით, უმთავრესი პასუხისმგებლობა პოლიციას ეკისრება, რომელმაც საკუთარი უფლებამოსილებები შეკრების მართვის სტანდარტების დაცვით უნდა განახორციელოს. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს შეკრებების საპოლიციო მართვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებისა და სხვადასხვა სახელმწიფოს კარგი პრაქტიკის საფუძველზე, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მემუშავებული აქვს „სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ“.[34] სახელმძღვანელოს შესაბამისად, შეკრების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საპოლიციო მართვა ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება: 1. ცოდნა შეკრებაში მონაწილე ჯგუფთა შესახებ, 2. შეკრების ფასილიტაცია (ხელშეწყობა); 3. კომუნიკაცია; და 4. შეკრების მონაწილეთა დიფერენცირება.[35]

სამართალდამცავები უნდა იყვნენ სათანადოდ გადამზადებულები, რათა კარგად გაუმკლავდნენ შეკრებებს და შეძლონ უფლებების პრიორიტეზაცია.[36] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ შეკრების მართვას მხოლოდ ამ საკითხებზე დატრენინგებული სამართალდამცავები უნდა ახორციელებდნენ.[37]

ამდენად, სტანდარტის თანახმად, პოლიციის სტრატეგიის უმთავრეს მიზანს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიერ მათი კანონიერი ამოცანების მიღწევისკენ მიმართული ძალისხმევის ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს.[38] ამ მიზნით, პოლიციამ შესაბამისი ცოდნის მეშვეობით უნდა გადაწყვიტოს, რა ტიპის საპოლიციო მიდგომები და ტექნიკა იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ შეკრებილებმა საკუთარ კანონიერ მიზნებს მიაღწიონ.[39] გამოცდილება და კვლევები მიუთითებს, რომ შეზღუდვები და საკონტროლო ზომები ხშირად არ არის საკმარისი წესრიგის შენარჩუნებისთვის.[40]

გარდა ამისა, პოლიცია აქტიურ კომუნიკაციაში უნდა შევიდეს შეკრების ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან, რაც ემსახურება მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს პრევენციულ და დეესკალაციაზე მიმართული მიდგომის ეფექტიანობას.[41] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის განმარტებით, თუ შეზღუდვის დაწესება აუცილებელია, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ეცნობოთ ამის მიზეზების შესახებ და შეეთავაზოთ მათ ალტერნატივები.[42]

შეკრების საპოლიციო მართვის ცალკეული პრინციპები ინტეგრირებულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციაში“, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის № 1002 ბრძანებით არის დამტკიცებული. მათ შორის, ინსტრუქციაში „მოლაპარაკება“ განმარტებულია, როგორც სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებსა და შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზატორებს შორის კომუნიკაცია, რომელიც მიმართულია მხარეთა ურთიერთშეთანხმების მიღწევისა და არსებული ვითარების მშვიდობიანი განმუხტვისაკენ.[43] ამასთან, ინსტრუქციის შესაბამისად, მოლაპარაკების საჭიროება განპირობებულია შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების დროს დაძაბულობისა და მოსალოდნელი სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით.[44]

გემოლნიშნულის გათვალისწინებით, შეკრების მართვის ფარგლებში, სამართალდამცავებმა, შესაძლოა, მიიღონ გადაწყვეტილება, დაუშვან ფორმალურად უკანონო, თუმცა მშვიდობიანი შეკრების შეუფერხებელი მიმდინარეობა, მათ შორის, ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, როდესაც ამის აუცილებლობას არ განაპირობებს შეკრების მონაწილეთა რაოდენობა.[45] ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება გამომდინარეობდეს მშვიდობიანი შეკრების მიმართ გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობის გამოჩენის მოვალეობიდან მაშინ, როდესაც ეს მომეტებულიად არ ამიანებს რაიმე შემხვედრ ინტერესს და შესაძლებელია მესამე პირთა სათანადო გადაადგილების უზრუნველყოფა სატრანსპორტო მარშრუტების შეცვლით. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა შეესაბამება მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობის მოთხოვნას. თავის მხრივ, შესაძლოა, არსებობდეს მოცემულობა, როდესაც შეკრების ამგვარი ფორმით მიმდინარეობა მომეტებულიად აფერხებს ცხოვრების ჩვეულ რიტმს (მაგალითად, როდესაც შეკრება ქალაქის ცენტრში, სატრანსპორტო გზაზე იმართება პიკის საათებში და სატრანსპორტო მარშრუტების შეცვლა ვერ უზრუნველყოფს მოძრაობის პარალიზების თავიდან არიდებას) და სამართალდამცავებს არ აქვთ ობიექტური შესაძლებლობა, შემხვედრ ინტერესთა დაბალანსების საფუძველზე, მოახდინონ მისი ფასილიტაცია. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, შეკრების მონაწილეებთან შედგეს დიალოგი და მათ მიერწოდოთ ინფორმაცია შეზღუდვის დაწესების მიზეზების და უფლების განხორციელების ალტერნატიული გზების შესახებ.

მსგავსი მიდგომა ასახულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომელიც შეკრების მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, სამართალდამცავებს ანიჭებს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, მიიღონ გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ, თუ შეკრების მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.[46] მსგავსი მოქნილი მიდგომა სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ შეკრებების საპოლიციო მართვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებით წარიმართოს.

2.3. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლები და ფარგლები

მიუხედავად შეკრების თავისუფლების მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ეროვნული კანონმდებლობით, უფლების შემზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდეციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[47] უფლების შემზღუდვის მსგავსი წინაპირობებია განერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში[48] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტშიც.[49]

ამდენად, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის დაცვას; და 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტივის გამო შეკრების მონაწილეთა დაჯარიმების მართლზომიერების შეფასების ძირითადი სირთულე დაკავშირებულია იმ საკითხების გადანაცვლებასთან, თუ რამდენად აკმაყოფილებს უფლებაში ჩარევის ასეთი ზომა კანონიერებისა და აუცილებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მხოლოდ ის სამართლებრივი სტანდარტები, რაც მხედველობაში მიიღება შეკრების ზემოხსენებული ტესტის პირველი და მესამე საფეხურების შემთხვევებისას.

2.3.1. არის თუ არა უფლებაში ჩარევა გათვალისწინებული კანონით

დათქმა, რომ ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, მოითხოვს, სადავო შემზღუდვა გამოძინარეობდეს ეროვნული კანონმდებლობიდან. ამასთან, ასეთი საკანონმდებლო საფუძველი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ ხარისხობრივ მოთხოვნებს - ერთი მხრივ, ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მის მიმართ გამოსაყენებელი კანონი, ამასთან, ის საკმარისი სიცხადით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა პირს მისცეს შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში, განჭვრიტოს კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი.[50] ერთიანობაში, კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს სამართლებრივი დაცვის მექანიზმს ხელისუფლების მხრიდან უფლებაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ.[51]

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ქმედების ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია). დასახელებული მოწესრიგების 2025 წლის 24 იანვრის მდგომარეობით მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა იყო გათვალისწინებული, მათ შორის, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისთვის. თავის მხრივ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის მე-4 ნაწილი კრძალავს ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვას, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა.

საყურადღებოა, რომ კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რა წარმოადგენს ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვას და რა შემთხვევაშია შეკრების მონაწილეთა რაოდენობა საკმარისი გზის კანონიერი გადაკეტვისთვის. თავის მხრივ, იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენად ახდენს კონკრეტული პირი გზის ხელოვნურ გადაკეტვას, კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროა, შეფასდეს: 1. რა წარმოადგენს შეკრების მონაწილეთა იმ რაოდენობას, რაც წარმოშობს მათი მხრიდან სატრანსპორტო გზის დაკავების ლეგიტიმურ საფუძველს; 2. ვისი პასუხისმგებლობაა შეკრებილ პირთა რაოდენობის შეფასება; და 3. კონკრეტულად რა ქმედებაში გამოიხატება გზის გადაკეტვა.

პირველ ორ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული სახის განმარტება გაკეთებული აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. კერძოდ, 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო დადგა საჭიროების წინაშე, მათ შორის, ეპასუხა, თუ ვინ და როგორ განსაზღვრავს, რამდენი პირი შეიძლება დაეტიოს კონკრეტულ ადგილას ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილზე.

მითითებულ საქმეში, ერთი მხრივ მკაფიოდ განისაზღვრა, რომ შეკრების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამოწმებს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.[52] სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული ობიექტურ კრიტერიუმებზე მითითებით.[53] ამავდროულად, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ „საკმარისი რაოდენობის“ შესაფასებლად, უფლებამოსილი პირი აშკარა და თვალნათელი კრიტერიუმებით უნდა ხელმძღვანელობდეს - „ხელისუფლების ორგანო უფლებამოსილია, ჩაერიოს შეკრების (მანიფესტაციის) მსვლელობაში, როდესაც თვალნათელია ჩანს, რომ შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა რაოდენობა აშკარად არასაკმარისია იმისათვის, რომ შეკრება (მანიფესტაცია), მონაწილეთა მიერ შერჩეულ ადგილას (პროტესტის ან სოლიდარობის სავარაუდო ადრესატის სიახლოვეს), გზის სავალი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვით განხორციელდეს“.[54]

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებაში, განისაზღვრა, რომ 2025 წლის 24 იანვარს, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეთა რაოდენობა არ იძლეოდა გზის ბუნებრივად გადაკეტვის აუცილებლობას. იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენად დასაბუთებულია მსგავსი შეფასება,

მნიშვნელოვანია, თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს, რა კრიტერიუმები მიიღო მხედველობაში თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ შეფასების გაკეთებისას. მათ შორის, გაითვალისწინა თუ არა მან ადგილზე მყოფ შეკრების მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა (შესაბამისი რიცხვის მითითებით) და მათი ტროტუარზე განთავსების რეალური შესაძლებლობა (კონკრეტული მასშტაბის მითითებით), იმგვარად, რომ შეკრების მონაწილეები არ გასცდნოდნენ საპროტესტო ლოკაციას და ამავედროულად, არ გამოერიცხათ ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნება სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, შეკრების მონაწილემ თავად უნდა განსაზღვროს თუ არა ადგილზე შეკრებილ პირთა რაოდენობა საკმარისობის საკითხი სატრანსპორტო გზის გადაკეტივით. ამ კუთხით, საჭიროა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს, ვის მიემართება ასეთი გადაწყვეტილების მიღების ტვირთი შეკრების მართვის ფარგლებში. ამგვარი დასაბუთებისას, მათ შორის, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შეკრების მართვას სპეციალურად გადამზადებული და შესაბამისი ცოდნის მქონე სამართალდამცავები ახორციელებენ.

მსგავსი მსჯელობის მიზნებისთვის, საყურადღებოა ისიც, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენად აქვთ ასეთ მოქალაქეებს ობიექტური შესაძლებლობა, განსაჯონ, არასაკმარისია თუ არა შეკრებილთა რაოდენობა ქუჩის გადაკეტივით. მაგალითად, წინამდებარე საქმეზე დართული ვიდეონაწილებების თანახმად, 2025 წლის 24 იანვარს, 20:25 – 21:00 საათის პერიოდში, შეკრების მონაწილეები განლაგებულნი იყვნენ პარლამენტის წინ არსებული სატრანსპორტო გზის დაახლოებით შუა ნაწილიდან თბილისის კლასიკური გიმნაზიის წინ არსებული ავტობუსის გაჩერების ადგილის მიმდებარე ტერიტორიამდე. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, იყო თუ არა მათი რაოდენობა იმდენად მცირე, რომ ნებისმიერი გონიერი დამკვირვებლისთვის იმთავითვე გაეჩინა განცდა შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ.

რაც შეეხება გზის ხელოვნური გადაკეტივის ფაქტის დადგენისთვის საჭირო მესამე კომპონენტს, როგორც აღინიშნა, ის უკავშირდება იმ საკითხის განსაზღვრას, თუ კონკრეტულად რა ქმედებაში გამოიხატება გზის გადაკეტვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების შესაბამისად, გზის ხელოვნურად გადაკეტვას ახდენს არა მხოლოდ ის პირი, რომელიც მოხანჩულობს ამ პროცესის დაწყებაში, არამედ ისიც, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა აქციის მონაწილეებს, რომლებსაც დაკავებული აქვთ სატრანსპორტო მოძრაობა.

ასეთი სტანდარტის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ადგილზე მყოფ სამართალდამცავთა ქმედებები. კერძოდ, საჭიროა, ერთობლიობაში შეფასდეს, ახდენს თუ არა პოლიცია საპროტესტო ლოკაციის გადაკეტვას თავად და ანგდის თუ არა ის ინფორმაციას შეკრების მონაწილეებს, რომ მათი სატრანსპორტო გზაზე დგომა კანონსაწინააღმდეგოა. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავები არ შედიან მსგავსი სახის დიალოგში და ამავედროულად, თავად ახდენენ ქუჩის გადაკეტვას, საჭიროა, გამოიკვეთოს, არის თუ არა სახეზე რაიმე გარემოება, რაც გამოერიცხავს დაშვებას, რომ მათ ამგვარი დროებითი ზომა მიიღეს შეკრების საპოლიციო მართვის ფარგლებში, მშვიდობიანი მანიფესტანტების ინტერესების უპირატესი ხელშეწყობისთვის, შემხვედრ ინტერესთა დაბალანსების შედეგად.

ამავედროულად, მნიშვნელოვანია, სასამართლომ განმარტოს, როდესაც პირი შეკრებას უერთდება მას შემდეგ, რაც საპროტესტო ლოკაცია გადაკეტილია არა მხოლოდ შეკრების მონაწილეების, არამედ პოლიციის თანამშრომლებიც მიერ, რომლებიც არ ახდენენ მის ინფორმირებას სატრანსპორტო გზაზე განთავსების უკანონო ხასიათის შესახებ, ხომ არ წარმოადგენს ეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ტრანსპორტის სავალი ნაწილი გადაკეტილია *მისგან დამოუკიდებელი მიზეზით*. კერძოდ, რამდენად აქვს რეალური ეფექტი მის ადგილზე გამოცხადებას სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვაზე და რაში გამოიხატება ამგვარი ეფექტი. მათ შორის, მოხდებოდა თუ არა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების აღდგენა იმ შემთხვევაში, ეს პირი ტროტუარზე რომ განთავსებულიყო.

2.3.2. არის თუ არა უფლებაში ჩარევა აუცილებელი

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩარევა იმ შემთხვევაში ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუ იგი პასუხობს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, თანაზომიერია იმ ლეგიტიმური მიზნის, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება და სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილია „შესატყვისი და საკმარისი“ საფუძვლები.[55] ამგვარი შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები, დაამყარეს თუ არა პასუხისმგებელმა უწყებებმა გადამწყვეტილება რელევანტური ფაქტების შეფასებას მისაღები ხარისხით.

ის გარემოება, რომ აუცილებლობის ცნება დაკავშირებულია „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებასთან“, მიანიშნებს, რომ მას არ აქვს იმგვარი მოქნილობა, როგორც დამახასიათებელია სიტყვებისთვის - „გამოსადეგი“ და „სასურველი“.[56] შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მხრიდან ხდებოდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს, რომ მისი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა აუცილებელი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის, სხვათა უფლებების დასაცავად.

უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად, მხედველობაში მიიღება დაკისრებული სანქციის ბუნება და სიმძიმე.[57] აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც შეკრების მონაწილისთვის დაკისრებულ სანქციას აქვს სისხლისსამართლებრივი ბუნება, ის განსაკუთრებული სახის გამართლებას მოითხოვს, რამდენადაც მშვიდობიანი შეკრება არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, განსაკუთრებით კი, თავისუფლების აღკვეთის საფრთხეს.[58] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და აღამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის განმარტებით, სანქციები მცირე მნიშვნელობის გადაცდომებისთვის, რაც მნიშვნელოვნად არ აზიანებს საჯარო წესრიგს ან სხვათა უფლებებს, უნდა იყოს დაბალი.[59] ამასთან, საქმეებში, რომლებიც ასეთი სახის

ადმინისტრაციულ გადაცდომებს შეეხება, შესაძლოა, გაუმართლებელი იყოს რაიმე სანქციის შეფარდება შეკრების მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის.[60]

ამდენად, მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიერ ჩადენილი გადაცდომის ბუნება და სიმძიმე. მათ შორის, მხედველობაში მიიღოს, აზიანებდა თუ არა იგი სხვათა უფლებებს, რა ხარისხის იყო ამგვარი ზიანი და რა პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა სადავო ქმედება. იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არსებული გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ აღგილი ჰქონდა მძიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას, საჭიროა, შეფასდეს, რამდენად გამართლებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით დადგენილი სანქციის შეფარდება და ამის სანაცვლოდ, სახეზე ხომ არ არის ამავე კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების, დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების წინაპირობა.

2.4. სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების გავრცელება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.[61] ასევე, ადამიანის უფლება ევროპული კონვენცია სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას ანიჭებს.[62]

საქართველოს კონსტიტუცია სამართლიანი სასამართლოს სხვადასხვა გარანტიებს ერთნაირად ავრცელებს როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალწარმოების მიმართ.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ცნებას აქვს ავტონომიური მნიშვნელობა[63] და მხედველობაში იღებს „ბრალდების“ „არსთან დაკავშირებულ“ და არა „ფორმალურ“ კონცეფციას.[64] შეფასებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებია: კვალიფიკაცია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, სამართალდარღვევის ხასიათი და გამოსაყენებელი სანქციის სიმკაცრე.[65]

ევროპული სასამართლო სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდებად განიხილავს და კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიებს იყენებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე, რომლისთვისაც სანქციის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა;[66] ასევე, რომელიც ეხება საჯარო შეკრების გამართვასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს. კერძოდ, მიდა კანონმდებლობაში საჯარო შეკრების ჩატარების შესახებ რეგულაციების დარღვევა კლასიფიცირდებოდა, როგორც „ადმინისტრაციული სამართალდარღვევა“, თუმცა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ზოგად ხასიათზე და სანქციის - ჯარიმის (14 და 25 ევროს ეკვივალენტი) სადამსჯელო და შემაკავებელ ხასიათზე, რაც ასევე სისხლის სამართლის სასჯელებისთვის დამახასიათებელი ნიშანია.[67]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლის მე-4 ნაწილით (2025 წლის 24 იანვარს მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული სამართალდარღვევა - შეკრებისა და მანიფესტაციის წესების დარღვევისთვის - სახდელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 5000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას. საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულისთვის ჯარიმის მინიმალური ოდენობას 2000 ლარით განსაზღვრავს, ხოლო 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში - ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.[68]

ამდენად, ნათელია, რომ მოცემული ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, სამართალდარღვევის ხასიათიდან და სანქციის სიმძიმეიდან გამომდინარე, ვრცელდება სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი გარანტიები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენილებაზე საჩივრის განხილვისას არ უნდა იწველდეს ინტერპრეტაციის მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რადგან ეს წინააღმდეგობაშია როგორც სახელმწიფოს უზენაეს კანონთან - კონსტიტუციასთან, ისე, კოდექსზე უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი,^[69] წლების განმავლობაში, მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არსებული, კონსტიტუციურ სტანდარტთან შეუსაბამო დებულებებსა და პრაქტიკაზე; ასევე, გასცემს რეკომენდაციას 1984 წელს მიღებული არასრულყოფილი აქტის - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის, ახალი, ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის თაობაზე.

2.5. კანონიერების პრინციპი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმის განჭვრეტადობა

საქართველოს კონსტიტუციით,[70] გარანტირებულია კანონიერების პრინციპი: არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუხუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

იგივე პრინციპი განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით:[71] „არავინ შეიძლება ბრალდებულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩადენილს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და

დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულის წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციით განმტკიცებულია სამართლის ფუნდამენტური კანონიერების პრინციპი (nullum crimen sine lege)[72], პირის ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესების კონსტიტუციური სტანდარტები.[73] ის „უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად, შეძლოს იმის განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევის შესაბამისად წარმართვა, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა და ბრალდების წინააღმდეგ“.[74] ასევე, განსაზღვრავს პასუხისმგებლობისთვის შესაბამისი კანონის აუცილებლობას და ადგენს მის ხარისხობრივ სტანდარტებს.[75]

განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან. ამასთან, ადგენს სახელმწიფოსგან მკაფიო შეტყობინების მიღების გარანტიას, რომ პირმა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს აკრძალული ქმედება და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[76] სასამართლო მიუთითებს დანაშაულის დამდგენი კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენის შესაძლებლობის მნიშვნელობაზე.[77] გამორიცხული არ არის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების ზოგადი და ინტერპრეტირებადი ან/და ტექნიკური ტერმინების, ისევე, როგორც კომპლექსური ფორმულირებების გზით ჩამოყალიბება.[78] თუმცა, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილდება, როცა ნორმის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და დარგის/სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით.[79]

პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა შესაძლებელია იძლეოდეს სასამართლოს მიერ მისი განმარტების, ინტერპრეტაციის საშუალებას და კანონის მიერ გაკეთებული დათქმის კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას. ამასთან, კანონით ყველა სიტუაციის თითოეული ასპექტის გათვალისწინების შეუძლებლობის მიუხედავად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაზღვრისას სავალდებულოა ნორმის მიღება, რომელიც მისი ინტერპრეტაციის ფარგლებში განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგენის შესაძლებლობას მაქსიმალურად ამცირებს.[80]

საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განმარტებისა და სამართლის შეფარდების პროცესში საერთო სასამართლოების განსაკუთრებულ როლზე და სასამართლოების ერთგვაროვან პრაქტიკას პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად და უმთავრეს ინდიკატორად მიიჩნევს.[81] საგულისხმოა, რომ სამართალშემფარდებლის თავისუფლების ხარისხი შემზღუდულია - ნორმა არ უნდა განმარტოს ისე, რომ არაგანჭვრეტადი შინაარსი მიანიჭოს.[82] საერთო სასამართლოებს (სამართალშემფარდებელს) არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ „სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნან სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“.[83] პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის კონსტიტუციურ პრინციპთან შესაბამისობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება:

- ❑ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების ურთიერთსწინააღმდეგო განმარტებების არსებობისას;
- ❑ საერთო სასამართლოების დადგენილი პრაქტიკის შეცვლისა და სადავო ნორმის ახლად იდენტიფიცირებული ნორმატიული შინაარსის გავრცელებისას მის განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე;
- ❑ მისი რომელიმე ნორმატიული შინაარსის სადავობისას, რომელიც საერთო სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ზედმეტად ფართო, წინასწარ განუჭვრეტადი განმარტების შედეგია.[84]

სასამართლოს პოზიციით, სამართალშემფარდებელი ვალდებულია, გამოიყენოს ნორმის არსის და მისი მოქმედების ფარგლების ყველაზე ნათლად და ობიექტურად ამხსნელი განმარტების მეთოდი. არ შეიძლება „სამართალშემფარდებელი გასცდეს იმ სადემარკაციო ხაზს, რომლის გადალახვის შემთხვევაში, ინტერპრეტაციიდან კანონმდებლად იქცევა. იმავდროულად, სამართალშემფარდებელი არ უნდა აღმოჩნდეს კანონის ვიწროდ განმარტების ტყვეობაში, რაც სერიოზულად დააბრკოლებს კანონის ნამდვილი შინაარსის გამორკვევას და საფრთხეს შეუქმნის კანონის სიცოცხლისუნარიანობას“.[85] გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს სისხლის სამართალში მოქმედ კანონთა განსაზღვრულობის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტებზე, თუმცა ეს არ იწვევს სისხლის სამართლებრივი ნორმების ფართო განმარტებაზე უარის თქმას, როცა საქმე ეხება პირის სასარგებლოდ ინტერპრეტაციის საკითხს.[86] სისხლის სამართალში ნებისმიერი განმარტების პირის სასარგებლოდ (და არა მის საზიანოდ) გადანყევების აქსიომატური დებულება სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის გამოვლინებას წარმოადგენს.[87]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-7 მუხლში მოცემული გარანტიები კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და წარმოადგენს ეფექტიან დაცვას თვითნებური დევნის, მსჯავრდებისა და დასჯისაგან.[88] ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის რეტროსპექტიული გამოყენების აკრძალვით, არამედ მოიცავს უფრო ზოგადად პრინციპს, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს დანაშაული და დაადგინოს

სასჯელი (*nullum crimen, nulla poena sine lege*); ასევე აყალიბებს პრინციპს, რომ სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იყოს ფართოდ განმარტებული ბრალდებულის საზიანოდ, მაგალითად, ანალოგიით.[89]

კონვენციის მე-7 მუხლში გამოყენებული ცნება „კანონი“ მოიცავს როგორც დანაშაულის კანონმდებლობას, ასევე, სასამართლო პრაქტიკას და გულისხმობს ხარისხობრივ ძახასიათებლებს: ხელმისაწვდომობას და განჭვრეტადობას.[90] დანაშაულები და შესაბამისი სასჯელები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს როგორც დანაშაულის დეფინიციასთან, ისე, სასჯელთან მიმართებით. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც პირს შეუძლია იცოდეს შესაბამისი დებულების ფორმულირებიდან გამომდინარე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს ინტერპრეტაციის და შესაბამისი იურიდიული კონსულტაციით, თუ რომელი მოქმედება და უმოქმედობა გამოიწვევს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და რა სასჯელი შეიძლება შეეფარდოს.[91]

რაც უნდა მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სამართლებრივი დებულება, სამართლის ნებისმიერ სისტემაში, მათ შორის, სისხლის სამართალში, გარდაუვალია, სასამართლო ინტერპრეტაციის ელემენტი, რადგან ყოველთვის იქნება საეჭვო საკითხების გარკვევისა და ცვალებად გარემოებებთან ადაპტაციის საჭიროება.[92] კონვენციის მე-7 მუხლი ვერ განიმარტება ისე, თითქოს კრძალავდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამკისრებული წესების სასამართლოების მიერ ყოველი საქმის განხილვის გზით თანდათანობით განმარტებას, იმ პირობით, რომ მისგან გამომდინარე განმარტებების განვითარებანი შესაბამისობაშია დანაშაულის არსთან და გონივრულად განჭვრეტადია.[93] ხელმისაწვდომი და გონივრულად განჭვრეტადი სასამართლო განმარტების ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს ბრალდებულის კონვენციის მე-7 მუხლით დაცული უფლებების დარღვევა.[94]

სასამართლო ინტერპრეტაციის პროგნოზირებადობა/განჭვრეტადობა ეხება დანაშაულის ელემენტებს[95] და გამოსაყენებელ სასჯელს[96]. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოს ინტერპრეტაციის შესაბამისობას დანაშაულის არსთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს შეესატყვისებოდა თუ არა ინტერპრეტაცია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებას, როგორც ეს იკითხებოდა მის კონტექსტში, და იყო თუ არა ეს გონივრული.[97] სასამართლო ინტერპრეტაციის გონივრულ პროგნოზირებასთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა შეაფასოს შეძლო თუ არა განმცხადებელს მოცემულ დროს კონივრულად განესაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატის დახმარებით, რომ მას ბრალდების საფრთხე ემუქრებოდა და გასამართლდებოდა ამ დანაშაულისთვის.[98]

შესაბამისად, განჭვრეტადობის პრინციპი დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს როგორც დანაშაულის, ისე მისი შესაბამისი სასჯელის განმარტებისას.[99] მე-7 მუხლის დარღვევა არ დადგინდა ისეთ შემთხვევაში, როცა ახალი განმარტების მიუხედავად, მოცემული მნიშვნელობა პროგნოზირებადი იყო და შეესაბამებოდა დანაშაულის არსს.[100]

კანონიერების პრინციპის დაკმაყოფილებისთვის, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სათანადოდ შეაფასოს ის გარემოებები, რაც განხილულია წინამდებარე მომართვის 2.3 თავში.

2.6. უდანაშაულობის, ფაქტებისა და სამართლის პრეზუმფცია, მტკიცების ტვირთი

საქართველოს კონსტიტუციით, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.[101] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანედეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[102]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.[103]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე.^[104] აღნიშნული ნორმა უკავშირდება, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.^[105] თავის მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების ელემენტებს, კონსტიტუციურ გარანტიებს მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების თაობაზე.^[106] ასევე, განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უწესებს სასამართლოს დაიცვას პროცესის მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სამართლიანობა.^[107]

საგულისხმოა, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები საქმის განხილვის დანების მომენტიდან ვალდებული არიან ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგის მიუხედავად, დაიცვან პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია.^[108]

კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტი მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლოს ავალდებულებს სამხილებს შორის კონფლიქტის სამართლიანად გადაჭრას, მტკიცებულებების სათანადოდ აწონვას და ყოველგვარი გონივრული ეჭვის ბრალდებულის უდანაშაულობის და თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყვეტას.^[109] გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, რადგან ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მისი თითოეული ელემენტის არსებობის მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით დადასტურებამდე,

უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.^[110] ამასთან, გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი სასამართლოსთვის წარმოადგენს პირის დამნაშავედ ცნობისთვის სახელმძღვანელო კრიტერიუმს: სასამართლო პირს დამნაშავედ ცნობს, როცა მის ბრალეულობაში დაარწმუნებს მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა (ეს რწმენა სანდო და დასაშვები მტკიცებულებების საფუძველზე ყალიბდება).^[111] უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის უტყუარ (სანდო, გაუყალბებელი) მტკიცებულებებზე დაფუძნებას, არამედ პირის ბრალეულობის მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დადასტურებას.^[112]

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოითხოვს, inter alia, სასამართლომ მოვალეობების შესრულება არ უნდა დაიწყოს წინასწარი განწყობით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული; მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.^[113] უდანაშაულობის პრეზუმფცია არ წყდება სააპელაციო სასამართლოში საქმის გასაჩივრებისა და განხილვისას მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ პირი გაასამართლა.^[114] უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარიდან დაცვის მხარეზე გადასვლისას. უდანაშაულობის პრეზუმფცია აწესებს მოთხოვნებს, სხვათა შორის, მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით;^[115] ასევე, ფაქტისა და სამართლის სამართლებრივ პრეზუმფციასთან დაკავშირებით.^[116]

„in dubio pro reo“ (ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ) პრინციპი წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის სპეციფიკურ გამოხატვას.^[117] სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დადგინდა საქმეებზე, სადაც სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ - „in dubio pro reo“-ს პრინციპთან შეუსაბამოდ ჩაითვალია ეროვნული სასამართლოების შემდეგი ქმედებები: როცა მომჩივანის დამნაშავეობასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისად დასაბუთებული^[118]; მომჩივანის სასარგებლო ყველა მტკიცებულების უარყოფით, მტკიცების უკიდურესი და მიუწვდომელი ტვირთი დაეკისრა და დაცვის მხარეს წარმატების მცირედი პერსპექტივაც კი არ ჰქონდა.^[119]

პირის უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ და მოითხოვოს, რომ ბრალდების მხარეს დაეკისროს მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების მტკიცების ტვირთი, არ არის აბსოლუტური, რადგან ფაქტების ან სამართლის პრეზუმფცია ვრცელდება ყველა სისხლის სამართლის სისტემაში და არ არის აკრძალული კონვენციით.^[120] თუმცა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა დაიცვან გონივრული ზღვარი, რომ გამოსაყენებელი საშუალებები თანაბრობიერ იყოს ლეგიტიმურ მიზანთან.^[121] შესაბამისად, მოთხოვნილია ფაქტობრივი და იურიდიული პრეზუმფციის მიმართ გონივრული ჩარჩოების დადგენა, რომლებიც გაითვალისწინებენ საკითხის მნიშვნელობას და უზრუნველყოფენ დაცვის უფლებებს.^[122]

მოცემულ საქმეში, პირს მოუწია ემტკიცებინა, რომ მომიტინგეების მიერ უკვე გადაკეტილ გზის საგალ ნაწილებზე (ვიდეო ჩანაწერების მიხედვით, პოლიციის ამისთვის ხელი არ შეუშლია და არც გზიდან გადასვლა მოუწოდებია ვინმესთვის) მისვლით და მშვილობიან შეკრებაში მონაწილეობით არ ჩაუდენია სამართალდარღვევა. შესაბამისად, როგორც ზემოთაც უკვე აღინიშნა, აუცილებელია, სააპელაციო სასამართლომ განმარტოს, რამდენად და რა გარემოებების გათვალისწინებით არის შესაბამისი, მათ შორის, უდანაშაულობის პრინციპთანაც, მოქალაქეზე ზემოაღნიშნული ფაქტის და ადგილზე სატრანსპორტო გზის გადაკეტვისთვის საკმარისი რაოდენობის მანიფესტანტთა არსებობის მტკიცების ტვირთის გადაკისრება.

2.7. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება. პროფესიონალი მოსამართლეების ჩატარებულ სასამართლო პროცესში, პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაგება, პირველ რიგში, სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობითაა განპირობებული. დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათ მოუსმინეს. გარდა ამისა, ავალდებულებს მოსამართლეს, მსჯელობა დააფუძნოს ობიექტურ არგუმენტებზე და დაიცვას მხარის უფლებები.^[123] ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილებები.^[124]

განაჩენის დასაბუთების მოვალეობის ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების სასიათის მიხედვით და უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებების გათვალისწინებით.^[125] სასამართლოები არ არიან ვალდებული, გასცენ დეტალური პასუხი განმცხადებლის ყველა წამოჭრილ არგუმენტზე.^[126] თუმცა გადაწყვეტილებიდან ცხადი უნდა იყოს, რა არსებითი საკითხები იქნა განხილული^[127] და საქმის შედეგისთვის გადამწყვეტ არგუმენტებზე გაცემული უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიო პასუხი.^[128] ასევე, უნდა არსებობდეს მტკიცებულებითი საფუძველი კონკრეტული დასკვნებისთვის.^[129] საქმეებში, რომლებიც ეხება კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას, ევროპული სასამართლო ცდილობს დაადგინოს, არის თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება ავტომატური ან სტერეოტიპული.^[130] სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული საკითხი ჩვეულებრივ წამოიჭრება მაშინ, როდესაც ეროვნული სასამართლოები უგულებელყოფენ და არ აფასებენ მომჩივნის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ, აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს.^[131]

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების წესთან მიმართებით წამოიჭრება საკითხი, თუ როდის შეიძლება ასეთი გადაწყვეტილებები ჩაითვალოს იმდენად თვითნებურად, რომ ზიანს აყენებდეს სასამართლო პროცესის სამართლიანობას. თუმცა, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ იქნება დასაბუთებული ან თუ წარმოდგენილი დასაბუთება დაფუძნებული იქნება ეროვნული სასამართლოს მიერ დამკვეთელ ამკარა ფაქტობრივ ან სამართლებრივ შეცდომაზე, რაც გამოიწვევს „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას“.^[132]

საჭიროა, სასამართლოსთვის წარდგენილ მტკიცებულებებში არსებული შეუსაბამობებისა და ბრალდებულის მიერ დაყენებული პროტესტების და დასაბუთებული არგუმენტებისათვის პასუხის გაცემა იმ მტკიცებულებების სახელობასთან დაკავშირებით, რომლებზეც დაფუძნებულია მსჯავრდება.^[133]

3. დასკვნა

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. ტრანსპარენტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეცვის გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების მართლზომიერების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე მომართვაში ასახული პრინციპები.

პატივისცემით,

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2.

[2] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4lV5GJy > [01.08.2025].

[3] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4570B7P > [01.08.2025].

[4]

[5] Djavit An v. Turkey, განაცხადის №20652/92, 20.02.2003, §56.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის № 1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 1.

[7] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3bQA9EV> > [01.08.2025].

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის № 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგური და ჯაბა ჭიმქარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 25.

[9] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7.

[10] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 4.

[12] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11.

[13] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21.

[14] ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლის გამკაცრება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, 31 აგვისტო 2024, პარ. 21, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4lW4ZQ8 > [01.08.2025]; იხ. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Sáska v. Hungary, განაცხადი № 58050/08, 27.11.2012, §21; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 34.

[15] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), თბილისი, 2020, გვ. 23, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3UCLW17 > [01.08.2025].

[16] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 61, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/44UVwCx > [01.08.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 55, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3J9WTG> > [01.08.2025].

[17] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 62; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 47.

[18] იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 47.

[19] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 46; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის № 37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 11-20.

[20] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 48; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)“, გვ. 16; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Sergey Kuznetsov v. Russia, განაცხადის №10877/04, 23.10.2008, §44.

[21] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 17.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Shmorgunov and Others v. Ukraine, განაცხადის №15367/14 და 13 სხვა, 21.01.2021, §491.

[23] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის № 37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 15.

[24] იქვე.

[25] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 50; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 18; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)“, გვ. 15-16.

[26] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 20.

[27] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12, პუნქტი 2.

[28] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 23.

[29] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 20.

[30] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 24.

[31] იქვე.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Oya Ataman v. Turkey, განაცხადის №74552/01, 05.12.2006, §§39-42.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Primov and Others v. Russia, განაცხადის №17391/06, 12.06.2014, §145.

[34] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4hnBILW > [01.08.2025].

[35] იქვე, გვ. 30.

[36] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 158.

[37] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 80.

[38] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, გვ. 31.

[39] იქვე.

[40] იქვე, გვ. 31-32.

[41] იქვე, გვ. 32.

[42] იქვე.

[43] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, მუხლი 3, „ზ“ ქვეპუნქტი.

[44] იქვე, მუხლი 6, ნაწილი 1.

[45] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკედა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. აგრეთვე დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომატურად, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკედა.

[46] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11¹.

[47] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 3.

[48] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11, ნაწილი 2.

[49] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21.

[50] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kudrevičius and Others v. Lithuania, განაცხადის № 37553/05, 15.10.2015, §§108-109; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Djavit An v. Turkey, განაცხადის № 20652/92, 20.02.2003, §65.

[51] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Navalnyy v. Russia, განაცხადის № 29580/12 და 4 სხვა, 15.11.2018, §115.

[52] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 45.

[53] იქვე.

[54] იქვე.

[55] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kudrevičius and Others v. Lithuania, განაცხადის № 37553/05, 15.10.2015, §143.

[56] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Chassagnou and Others v. France, განაცხადის №25088/94, 28331/95 და 28443/95, 19.04.1999, §112.

[57] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Chkhartishvili v. Georgia, განაცხადის №31349/20, 11.05.2023, §51.

[58] იქვე.

[59] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); მეგრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 222.

[60] იქვე.

[61] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 1.

[62] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.

[63] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Adolf v. Austria*, განაცხადი №8269/78, 26.03.1982წ. §30; *Blokhin v. Russia* [GC], განაცხადი №47152/06, 23.03. 2016 წ. §179.

[64] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Deweere v. Belgium*, განაცხადი №6903/75, 27.02.1980 წ. §44.

[65] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Engel and others v. the Netherlands*, განაცხადი №5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72, 08.06.1976 წ. §§82-83; *Allen v. the UK* [GC], განაცხადი №25424/09, 12.07.2013 წ. §95.

[66] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Nemtsov v. Russia*, განაცხადი №1774/11, 31.07.2014 წ. §82-83; *Frumkin v. Russia*, განაცხადი №74568/12, 05.01.2016 წ. §155; *Makarashvili and others v. Georgia*, განაცხადი №23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. §51.

[67] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Kasparov and Others v. Russia*, განაცხადი №21613/07, 03.10.2013 წ. §42-45; *Mikhaylova v. Russia*, განაცხადი №46998/08, 19.11.2015 წ. §§57-69.

[68] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 42, ნაწილი 2.

[69] იხ. სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 15-16; 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.448-450; 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 271-277, 281; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 303-307, 404; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 462-467, 469; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114, 117; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-106, 109; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 157-159, 161; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 145-147; 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118; 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 131; 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 130; 2024 წლის ანგარიში, გვ. 150, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4m68ELj > [04.08.2025]. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოების მრავალწლიანი პრაქტიკის შესწავლის შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სარჩელზე „*მურაბ-გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“ (№1361), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/47efucY > [04.08.2025]

[70] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 9.

[71] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 7, პუნქტი 1-2.

[72] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-1.

[73] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-28.

[74] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II -1.

[75] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-29.

[76] იქვე, II-30.

[77] იქვე, II-31.

[78] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „*გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალაიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-34.

[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „*გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-13; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „*გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალაიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-35.

[80] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-36.

[81] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „*გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალაიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-37.

[82] იქვე, II-36

[83] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-37.

[84] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „*გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-23.

[85] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „*საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-18.

[86] იქვე, II-19.

[87] იქვე, II-29.

[88] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *S.W. v. the UK*, განაცხადი №20166/92, 22.11.1995 წ. §34; *C.R. v. the UK*, განაცხადი №20190/92, 22.11.1995 წ. §32; *Del Rio Prada v. Spain* [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §77; *Vasiliauskas v. Lithuania* [GC], განაცხადი №35343/05, 20.10.2015 წ. §153.

[89] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Kokkinakis v. Greece, განაცხადი N14307/88, 25.05.1993 წ. §52; Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §78; Vasiliauskas v. Lithuania [GC], განაცხადი №35343/05, 20.10.2015 წ. §154.

[90] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: S.W. v. the UK, განაცხადი №20166/92, 22.11.1995 წ. §35; Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §91.

[91] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Kafkaris v. Cyprus [GC], განაცხადი №21906/04 12.02.2008 წ. §140; Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §79; Perinçek v. Switzerland [GC], განაცხადი №27510/08 15.10.2015 წ. §134; Vasiliauskas v. Lithuania [GC], განაცხადი №35343/05, 20.10.2015 წ. §154; G.I.E.M. S.R.L. and others v. Italy [GC], განაცხადი №1828/06, 34163/07, 19029/11 28.06.2018 წ. §242.

[92] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Yüksel Yalçınkaya v. Türkiye [GC], განაცხადი №15669/20, 26.09.2023 წ. §239.

[93] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: S.W. v. the UK, განაცხადი №20166/92, 22.11.1995 წ. §36; C.R. v. the UK, განაცხადი №20190/92, 22.11.1995 წ. §34; Kononov v. Latvia [GC], განაცხადი №36376/04, 17.05.2010 წ. §185.

[94] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §93.

[95] Pessino v. France, განაცხადი №40403/02, 10.10.2006 წ. §§35-36; Dragotiniu and Militaru-Pidhomi v. Romania, განაცხადი №77193/01, 77196/01, 24.05.2007 წ. §§43-47; Dallas v. the UK, განაცხადი №38395/12 11.02.2016 წ. §§72-77. იხ. Guide on Article 7 of the European Convention on Human Rights, updated 28.02.2025, პარ. 36.

[96] Alimucaj v. Albania, განაცხადი №20134/05 07.02.2012 წ. §§154-162; Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §§111- 117. იხ. Guide on Article 7 of the European Convention on Human Rights, updated 28.02.2025 პარ. 36.

[97] Jorgic v. Germany №74613/01 12.10.2007 წ. §§104-108; Yüksel Yalçınkaya v. Türkiye [GC], განაცხადი №15669/20, 26.09.2023 წ. §§255-268; Total S.A. and Vitol S.A. v. France, განაცხადი №34634/18, 43546/18, 12.10.2023 წ. §§58-71; Jasutis and Šimaitis v. Lithuania, განაცხადი №28186/19, 29092/19, 12.12.2023 წ. §§119-140, იხ. Guide on Article 7 of the European Convention on Human Rights, updated 28.02.2025, პარ. 37.

[98] Jorgic v. Germany №74613/01 12.10.2007 წ. §§109-113; Delga v. France, განაცხადი №38998/20, 09.07.2024 წ. §§65-72 იხ. Guide on Article 7 of the European Convention on Human Rights, updated 28.02.2025, პარ. 38.

[99] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Del Río Prada v. Spain [GC], განაცხადი №42750/09, 21.10.2013 წ. §91.

[100] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, განაცხადი №11082/06, 13772/05, 25.07.2013 წ. §821.

[101] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 6.

[102] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 7.

[103] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6, პუნქტი 2.

[104] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[105] იქვე, II-3.

[106] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

[107] იქვე, II-35.

[108] იქვე, II-36.

[109] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

[110] იქვე, II-41-42.

[111] იქვე, II-45.

[112] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77.

[113] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Barberà, Messegue and Jabardo v. Spain, განაცხადი №10590/83, 06.12.1998 წ. §77.

[114] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Konstas v. Greece, განაცხადი №53466/07, 24.05.2011 წ. §36.

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Telfner v. Austria, განაცხადი №33501/96, 20.03.2001 წ. §15.

[116] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Salabiaku v. France, განაცხადი №10519/83, 07.10. 1988, §28; Radio France and others v. France, განაცხადი №53984/00, 30.03. 2004 წ. §24.

[117] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Tsalkitzis v. Greece (no. 2), განაცხადი №72624/10, 19.10.2017 წ. §60.

[118] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ajdarić v. Croatia, განაცხადი №20883/09, 13.12.2011 წ. §51-52.

[119] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Nemtsov v. Russia, განაცხადი №1774/11, 31.07.2014 წ. §92.

[120] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე: Falk v. the Netherlands (dec.), განაცხადი №66273/01, 19.10.2004 წ.

[121] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Vastberga Taxi Aktiebolag and Vulic v. Sweden, განაცხადი №36985/97, 23.07.2002 წ. §113.

[122] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Salabiaku v. France, განაცხადი №10519/83, 07.10. 1988, §28; Radio France and others v. France, განაცხადი №53984/00, 30.03. 2004 წ. §24.

[123] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Taxquet v. Belgium [GC], განაცხადი №926/05, 16.10.2020 წ. §91.

[124] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Hadjianastassiou v. Greece, განაცხადი №12945/87, 16.12.1992 წ. §33; Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.

[125] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ruiz Torija v. Spain, განაცხადი №18390/91, 09.12.1994 წ. §29; Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.

[126] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Van De Hurk v. the Netherlands, განაცხადი № 16034/90, 19.04.1994 წ. §61; Perez v. France [GC], განაცხადი №47287/99, 12.02.2004 წ. §80.

[127] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Lobzhanidze and Peradze v. Georgia, განაცხადი №21447/11, №35839/11, 27.02.2020 წ. §66.

[128] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.

[129] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kuznetsov and others v. Russia, განაცხადი №184/02, 11.01.2007 წ. §82-85.

[130] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.

[131] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine, განაცხადი № 42310/04, 21.04.2011 წ. §280; Rostomashvili v. Georgia, განაცხადი №13185/07, 08.11.2018 წ. §59; Zhang v. Ukraine, განაცხადი №6970/15, 13.11.2018 წ. §73.

[132] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §85.

[133] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Sakit Zahidov v. Azerbaijan, განაცხადი №51164/07, 12.12.2015 წ. §§55-58.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერა/ 
შტამპი/ 
ელმხროვნება

ლევან იოსელიანი